

ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი - ლოტი 2

UWSCG-CW-Lot2-2: წყალარინების გამწმენდი ნაგებობის, სათავების, რეზერვუარებისა და მაგისტრალის პროექტირება, მშენებლობა და ოპერირება

დაზუსტების მოთხოვნა 1

2022 წლის 5 აპრილი

	შეკითხვა	შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ პასუხი
1	<p>ჩვენ საწყისი შერჩევითი განაცხადი შემოგვაქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნიდან. ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ორგანოები არ გასცემს ცნობას მიმდინარე დავების შესახებ.</p> <p>ამრიგად, მიმდინარე დავების სია წარმოდგენილი იქნება CON-2 ფორმით და ნოტარიულად დამოწმებული. ასეთი წარმოდგენილი დოკუმენტი მისაღები იყო კომპანიისათვის წინა საკვალიფიკაციოში და, გვგონია, რომ ამ საკვალიფიკაციოშიც იქნება მისაღები. დავიდასტურეთ ჩვენი მოსაზრება.</p>	<p>საწყისი შერჩევის მონაცემების II სექციის, პრეტენდენტების ინსტრუქციების 11.1 (დ) მუხლის მიხედვით, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა (სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო დღემდე 15 დღით ადრე) მიმდინარე დავების შესახებ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან.</p> <p>III სექციის, 2.3 მუხლის მიხედვით, აღნიშნული კრიტერიუმები ფასდება CON-2 ფორმით.</p> <p>კრიტერიუმის სხვა ასპექტები სატენდერო განცხადებების შეფასების კომიტეტის შეფასების პროცესის ნაწილია.</p>
2	<p>COVID ვითარების გამო მიწოდების ვადების გაურკვევლობის გამო ვთხოვთ კლიენტს, რომ წინასწარი კვალიფიკაციის წინადადება მიიღონ ელექტრონულ ფორმად ელ. ფოსტით (ან სხვა ონლაინ მეთოდით). ბეჭდური ვერსიის წარმოდგენა არჩევითი იყოს. გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი თხოვნა.</p>	<p>საწყისი შერჩევის მონაცემების II სექციის, პრეტენდენტების ინსტრუქციების 17.1 მუხლის მიხედვით, პრეტენდენტებს არ ექნებათ განცხადებების ელექტრონულად წარმოდგენის უფლება.</p>
3	<p>3.1 (iii) კრიტერიუმის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერთობლივი საწარმოს/კონსორციუმის 'ლიდერის' მიერ.</p> <p>ამან კონკურენცია შეიძლება საგრძნობლად შეზღუდოს. გთხოვთ, შეცვალოთ ეს პირობა შემდეგნაირად:</p>	<p>აღნიშნული მოთხოვნა ვერ შეიცვლება.</p>

	<p>„3.1 (iii) კრიტერიუმის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ერთობლივი საწარმოს/კონსორციუმის „ყველა წევრის“ მიერ ერთად.</p> <p>ამგვარად, ერთობლივი საწარმოს/კონსორციუმის ყველა წევრი ერთად და ცალ-ცალკე იქნება პასუხისმგებელი წინასწარი კვალიფიკაციის/ტენდერის პროცესში.</p> <p>გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი მოთხოვნა.</p>	
4	<p>როგორც გვესმის, ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობასა და კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობას, ა.შ. აქვს მსგავსი გაწმენდის სქემა (ბიოლოგიური ნახშირბადის, აზოტისა და ფოსფორის მოშორება), როგორც ამ საკვალიფიკაციო კრიტერიუმშია მოთხოვნილი და ჩაითვლება გამოცდილებად.</p> <p>გთხოვთ, დაგვიზუსტოთ ჩვენი მოსაზრება.</p>	<p>წარმოდგენილი მოთხოვნა შეფასების პროცესის, რომელსაც ატარებს შეფასების კომიტეტი, ნაწილია. შეფასებისას საკონტრაქტო გამოცდილების მიხედვით წარმოდგენილი თითოეული კონტრაქტი ფასდება გამოცდილების შედარებით მესამე სექციის ფარგლებში.</p>
5	<p>როგორც გვესმის, 4.2.2 კრიტერიუმში მოცემული ორივე პირობა ერთი პროექტის/კონტრაქტის, რომლის მინიმალური ღირებულებაა 5 მლნ ევრო, ფარგლებში უნდა იყოს.</p> <p>აღნიშნული პირობა ძალიან მკაცრია და ზღუდავს მონაწილეობას/კონკურენციას (მხოლოდ მცირე რაოდენობის EPC კომპანიები შეძლებს მონაწილეობის მიღებას). ამიტომ ჩვენ:</p> <p>ა) გთხოვთ, რომ მთავარი მოთხოვნების (ჭაბურღილების გამოცდილება, რეზერვუარის გამოცდილება, 10 კმ მილი დიამეტრით 200 მმ-ზე მეტი, ა.შ) დამაკმაყოფილებელი გამოცდილება დაუშვათ ცალ-ცალკე სხვადასხვა კონტრაქტის ფარგლებში ერთი კონტრაქტის ნაცვლად, რაც რთული დასაკმაყოფილებელია. გთხოვთ, დაადასტუროთ.</p>	<p>აღნიშნული მოთხოვნა ვერ შეიცვლება.</p>

	<p>ბ) გთხოვთ, რომ სასმელი წყლის სატუმბო სადგურის გარდა, კანალიზაციის სატუმბო სადგურის მოწყობაც ჩათვალოთ გამოცდილებაში.</p> <p>გ) გთხოვთ, რომ „წნევიანი მაგისტრალის“ გამოცდილებაში (სულ მცირე 10 კმ, დიამეტრი 200 მმ-ზე მეტი) ჩათვალოთ კანალიზაციის GRP/RCC (NP3/NP4) მილების, დიამეტრით 200 ან მეტი (მათ შორის, თვითდენითი მილები), მოწყობა ჩათვალოთ გამოცდილებაში.</p> <p>დ) გთხოვთ, ჩათვალოთ 'ქვეკონტრაქტორების' გამოცდილება 4.2.2 კრიტერიუმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>	
6	<p>ა) გთხოვთ, რომ ზღვის წყლის რეზერვუარის მშენებლობა (რაც გაცილებით რთულია, ვიდრე სასმელი წყლის რეზერვუარის) ჩათვალოთ გამოცდილებად. გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი მოთხოვნა.</p> <p>ბ) როგორც გვესმის, 2,000 მ³ ან მეტი მოცულობის GLFS (მინა შედუღებული ფოლადთან) ავჯის პროექტირება და მოწყობა წყლის სამარაგო ნაგებობის სახით ჩაითვლება გამოცდილებად. გთხოვთ, დაადასტუროთ ჩვენი მოსაზრება.</p> <p>გ) გთხოვთ, ჩათვალოთ 'ქვეკონტრაქტორების' გამოცდილება 4.2.3 კრიტერიუმის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>	აღნიშნული მოთხოვნა ვერ შეიცვლება.
7	<p>როგორც გვესმის, 4.2.5 კრიტერიუმის დაკმაყოფილება საჭიროა „სპეციალიზებული ქვეკონტრაქტორების“ მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს თვითონ. გთხოვთ, დაადასტუროთ ჩვენი მოსაზრება.</p>	<p>II სექცია, საწყისი შერჩევის მონაცემები, 24.2 მიხედვით</p> <p>ჩამოთვლილი სპეციალიზებული სამუშაოებისათვის დამკვეთი უშვებს სპეციალიზებულ ქვე-კონტრაქტორებს</p>

		<p>პრეტენდენტების ინსტრუქციების 24.2 და 24.3 მუხლების მიხედვით:</p> <p>ა) ქვე-კონტრაქტორი აღჭურვილობის მოწოდებისა და მოწყობისათვის;</p> <p>ბ) ქვე-კონტრაქტორი SCADA სისტემის მოწოდებისა და მოწყობისათვის.</p> <p>სპეციალიზებული ქვე-კონტრაქტორების მინიმალური მოთხოვნები აღწერილია III სექციაში - ცხრილი 1-4.2</p> <p>თუ პრეტენდენტი ნიშნავს სპეციალიზებულ ქვე-კონტრაქტს, ქვე-კონტრაქტორმა უნდა დააკმაყოფილოს 4.2.5 მუხლის მოთხოვნა.</p>
8	<p>სექცია III - საწყისი შერჩევის კრიტერიუმები; 5 გარემოს დაცვა, სოციალური გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - 5: გარემოს დაცვა, სოციალური გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - მოთხოვნების მიხედვით, კრიტერიუმი დაკმაყოფილებული უნდა იყოს ერთობლივი საწარმოს/კონსორციუმის „ლიდერის“ მიერ.</p> <p>ამან კონკურენცია შეიძლება საგრძნობლად შეზღუდოს. გთხოვთ, შეცვალოთ ეს პირობა შემდეგნაირად:</p> <p>კრიტერიუმის მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ერთობლივი საწარმოს/კონსორციუმის „ყველა წევრის“ მიერ ერთად.</p> <p>ამგვარად, ერთობლივი საწარმოს/კონსორციუმის ყველა წევრი ერთად და ცალ-ცალკე იქნება პასუხისმგებელი წინასწარი კვალიფიკაციის/ტენდერის პროცესში.</p> <p>გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი მოთხოვნა.</p>	<p>სექცია III - საწყისი შერჩევის კრიტერიუმები; 5 გარემოს დაცვა, სოციალური გარემო, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ერთობლივი საწარმოს/კონსორციუმის „ლიდერმა“ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები და არა კონსორციუმის/ერთობლივი საწარმოს „ყველა მხარემ ერთად“.</p> <p>აღნიშნული მოთხოვნა ვერ შეიცვლება.</p>

9	<p>როგორც ვხვდებით, 3.1 მუხლი ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (ქვე-მუხლი ii) უნდა მოიცავდეს სამუშაო კაპიტალს 2020 წლიდან FIN-3.1 ფორმიდან; ფინანსურ რესურსებს FIN-3.2 ფორმიდან და მიმდინარე კონტრაქტებს FIN 3-4 ფორმიდან შემდეგი ფორმულით: სამუშაო კაპიტალი + ფინანსური რესურსები - მიმდინარე კონტრაქტები.</p>	<p>მუხლი 3.1 ფინანსური შესაძლებლობები (ქვე-მუხლი ii) შეფასდება ფორმებით FIN 3.1 და FIN3.-4 მეშვეობით, როგორც ნაჩვენებია მესამე სექციაში, საწყისი შერჩევის კრიტერიუმები - წარმოდგენის მოთხოვნები 3.1 (ii) მუხლისათვის.</p>
10	<p>როგორც გვესმის, ფორმაში FIN-3.3 სამუშაო კაპიტალი FIN-3.1 ფორმიდან უნდა იყოს ჩასმული. გთხოვთ, დაადასტუროთ.</p>	<p>ფორმაში FIN 3.3 პრეტენდენტმა უნდა უჩვენოს, რომ აქვს ფინანსური წყაროები, როგორცაა ლიკვიდური აქტივები, დაუტვირთავი ქონება, საკრედიტო ხაზები და სხვა ფინანსური საშუალებები, მიმდინარე ვალდებულებების წმინდა ღირებულება, რომლითაც დააკმაყოფილებს მშენებლობის ხარჯებს ამ კონტრაქტის ფარგლებში.</p>
11	<p>ვვარაუდობთ, რომ ფორმა 3.4 მიმდინარე კონტრაქტების შესახებ შეუფერებელი ფორმატირებისაა, რადგანაც, როგორც გვესმის, მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებები უნდა იყოს გამოთვლილი შემდეგნაირად: დაუსრულებელი სამუშაოების ღირებულება გაყოფილი კონტრაქტის მოქმედების დარჩენილ პერიოდზე თვეებში.</p>	<p>FIN 3.4 ფორმის ფორმატი სწორია.</p>
12	<p>როგორც გვესმის, FIN 3.2, 3.3, 3.4 ფორმების თანხები მოცემული უნდა იყოს ევროებში, როგორც FIN 3.1 ფორმაშია.</p>	<p>ყველა თანხა მოცემული უნდა იყოს ევროებში ყველა FIN ფორმაში.</p> <p>თუ აუდიტირებული საბალანსო უწყისები და აუდიტირებული ფინანსური ანგარიშები მოცემულია სხვა ვალუტაში, გთხოვთ, მიუთითოთ გაცვლითი კურსი.</p>
13	<p>ბოლო პანდემიის გავრცელების ზემოქმედებას ყველა ბიზნესი გრძნობს. მართლაც, ვირუსის შესაკავებლად ყოველდღიურად ტარდება დამატებითი ზომები და შეზღუდვები. გაურკვევლობის ამ კონტექსტში, ხელით წარდგენა (ინსტრუქცია პრეტენდენტებისათვის 17.1) შეიძლება</p>	<p>აღნიშნული მოთხოვნა ვერ შეიცვლება.</p>

	<p>ნებისმიერ დროს იყოს კომპრომეტირებული, რადგან ჩვენ არ ვიცით, რა შეიძლება მოხდეს უახლოეს დღეებში. ამ რისკის გათვალისწინებით, გთხოვთ, დაგვრთოთ ნება, წარმოვადგინოთ წინადადება ელ. ფოსტით.</p>	
14	<p>გთხოვთ, რომ წინადადების წარმოდგენის საბოლოო ვადა გაახანგრძლივოთ სულ მცირე 3 კვირით.</p>	<p>აღნიშნული მოთხოვნა ვერ შეიცვლება.</p>